ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5155945

ნომერი: AR1783423

თარიღი : 21.10.2020

გაცემის თარიღი : 23.10.2020

გაცნობის თარიღი : 27.10.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 140 , (ნაკვეთი 17/38);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ოსეფაიშვილი პ/ნ 01017014791
- თბილისი კ.მაყაშვილის #35

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2020 წლის 21 ოქტომბრის AR1783423 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 31.05.2016 წლის №2600058 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას,

პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან 31.05.2016 წლის №2600058 ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცებულია არსებული შენობის რეკონსტრუქციაზე, საპროექტო ობიექტის ფუნქციით - მაღაზია, თქვენი 2020 წლის 21 ოქტომბრის AR1783423 განცხადება ახალი, სხვა ფუნქციის საპროექტო ობიექტის - საგამოფენო-სავაჭრო პავილიონის მშენებლობის დაფიქსირებასთან დაკავშირებით ვერ დაკმაყოფილდება. აღნიშნულის განსახორციელებლად საკითხი უნდა დააყენოთ ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის კუთხით და მოითხოვოთ შესაბამისი ფუნქციის საპროექტო ობიექტი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.

ამასთან დამატებით გაითვალისწინეთ, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს სამრეწველო ზონა 1(ს-1)-ში და საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)-ში. სსზ-2-ში ჯიხური ან/და დროებითი პავილიონი (საცალო ვაჭრობისა და მომსახურეობისათვის) საჭიროებს სპეციალურ ნებართვას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.